

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

23 მაისი, 2019 წელი

სხდომას ესწრებოდა თსუ რექტორის გიორგი შარვაშიძის 2019 წლის 22 მაისის ბრძანებით №:122/01-01 დამტკიცებული სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა საკონკურსო კომისიის 11 წევრი: დარეჯან გარდავაძე (თავმჯდომარე), ინა ბარათაშვილი (მდივანი), იზაბელა პეტრიაშვილი, ნატალია ბასილაია, ტატიანა ჭეიშვილი, კონსტანტინე ბრეგაძე, ნანა ტონია, ირინე დარჩია, იამზე გაგუა, მანანა ფხაკაძე, ქეთევან ლორთქიფანიძე.

დღის წესრიგი:

1. თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 19 აპრილის №82/02-01 ბრძანების „ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ გაცნობა.
2. თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 24 თებერვლის №08/04 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების თანახმად, საკონკურსო ეტაპების, შეფასების ფორმებისა და რელევანტური კრიტერიუმების განხილვა-დამტკიცება.

კომისიის წევრებმა განიხილეს და კენჭისყრით დაამტკიცეს დღის წესრიგი, რის შემდეგაც შეუდგნენ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე დისკუსიას.

1. კომისიის თავმჯდომარემ პროფ. დარეჯან გარდავაძემ გააცნო კომისიის წევრებს თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 24 თებერვლის №08/04 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება, რომლის მიხედვითაც უნდა იმუშაოს კომისიამ.
2. კომისია დებულების გაცნობის გაცნობის შემდეგ შეუდგა კონკურსის ფორმასა და შეფასების კრიტერიუმებზე მსჯელობას.

კერძოდ, კომისიის წარმოდგენილი დებულების თანახმად, დოკუმენტაციის განხილვა/შეფასების ეტაპზე უნდა მოხდეს ბოლო 4 წლის მანძილზე მასწავლებელთა

პროფესიული განვითარებისა და გაწეული სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით; კონკურსანტი, რომლებიც წარმოდგენილი საბუთებით დააკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმებსა და კომისიის მიერ დადგენილ ზღვარს, დაშვებულ იქნას კონკურსის შემდეგ ეტაპზე - გასაუბრებაზე, რომლის დროსაც მიიღება ინფორმაცია მასწავლებლის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციისა და ენობრივი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების საკონკურსო თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს კონკურსის შემდეგი ეტაპის (საცდელი ლექციის) გამოყენების საკითხზე და წამოაყენეს წინადადება, საჭიროების შემთხვევაში, მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ იმ მიმართულებებზე, სადაც მაღალი კონკურსის პირობებში კომისია გასაუბრების შემდეგ თანაბარ პირობებში მყოფ პრეტენდენტებს შორის ვერ დაადგენს განსხვავებას, განიხილოს და გადაწყვიტოს ამ მიმართულებებზე კონკურსის შემდეგი ეტაპის (საცდელი ლექციის) გამოყენების საკითხი.

კონკურსანტთა დოკუმენტაციის განხილვა-შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. ტონიამ და ი. დარჩიამ, რომელთაც განაცხადეს, რომ კლასიკური ენების თავისებურებებიდან გამომდინარე, კლასიკური ენების მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმები გარკვეულწილად უნდა განსხვავდებოდეს ცოცხალი ევროპული ენების მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმებიდან. ცოცხალი ენების შემთხვევაში თუ მოსმენა-გაგების ენობრივ ასპექტებზე დიდი ყურადღებაა გასამახვილებელი, კლასიკური ენების შემთხვევაში ტექსტოლოგიურ და მთარგმნელობით ასპექტებზე უნდა გაკეთდეს მახვილი. მათ წარმოადგინეს მათ მიერ შემუშავებული ვარიანტი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. დ. გარდავამემ და ქ. ლორთქიფანიძემ, რომელთაც აღმოსავლური ენების თავისებურებიდან გამომდინარე, შეიმუშავეს შეფასების კრიტერიუმები, ასევე გარკვეულწილად განსხვავებული ცოცხალი ევროპული ენების მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმებიდან. მათი მტკიცებით, ცოცხალი ევროპული ენების მიმართ ევროსაბჭოს უცხოური ენების სწავლა-სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნები მუშაობს და ამ ენათა მასწავლებლების შეფასების ასპექტებიც სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნებზეა მორგებული, მაშინ როცა აღმოსავლური ენების მიმართ სწავლა-სწავლებისა და შეფასების ამგვარი სტანდარტიზება არ მომხდარა და შესაბამისად, მათ შეფასების კრიტერიუმების დადგენისას შეიმუშავეს შუალედური ვარიანტი კლასიკური და ცოცხალი ევროპული ენების მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმებიდან.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. ი.პეტრიაშვილმა და ტ.ჭეიშვილმა, რომელთაც განაცხადეს, რომ ევროპული ენებისათვის (ინგლისური, გერმანული და რუსული) იმუშავებენ ერთიანი შეჯერებული კრიტერიუმებით.

კომისიამ მსჯელობის შემდეგ კენჭისყრით დაადგინა:

1. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად: I ეტაპი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და შეფასება (ქულობრივად), II ეტაპი - გასაუბრება. საცდელი ლექციის ეტაპის გამოყენების საჭიროების საკითხი განხილულ იქნას მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ.
2. დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვროს ცალკეული ენების თავისებურებებიდან გამომდინარე.
3. კომისიაში გამოიყოს ქვეკომისიები საკონკურსო დარგების/ენების მიხედვით.
4. კონკურსის II ეტაპზე (გასაუბრება) დაშვების წინაპირობად განისაზღვროს 81 ქულა.

კომისიამ იმსჯელა დოკუმენტაციის შეფასების წარმოდგენილ კრიტერიუმებზე ენების მიხედვით, კენჭი უყარა და დაამტკიცა, ასევე დაადგინა:

5. კონკურსანტების დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმები განთავსდეს თსუ ვებ-გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარე: დარეჯან გარდავაძე

კომისიის მდივანი: ინა ბარათაშვილი



აპლიკანტის გვარი, სახელი _____

კრიტერიუმები (აღმოსავლური ენებისათვის)		ქულები	
უმაღლესი განათლების დიპლომი	(√)	რელევანტური	არარელევანტური
აკადემიური ხარისხი			
1. მეცნიერებათა დოქტორი		10	
2. დოქტორანტი		5	
პედაგოგიური გამოცდილება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში		(√)	
1. 3 წელი			
2. 5 წელზე მეტი			
სტაჟირება (სწავლება/ლინგვისტიკა)			
1. საქართველოში		5	
2. უცხოეთში		10	
პუბლიკაციები			
ადგილობრივი			
1. სახელმძღვანელო		10 x რაოდ	
2. მონოგრაფია		10 x რაოდ	
3. ლექსიკონი		5 x რაოდ	
4. სტატიები		3 x რაოდ	
5. თარგმანები		3 x რაოდ	
საზღვარგარეთ			
1. სახელმძღვანელო		10 x რაოდ	
2. მონოგრაფია		10 x რაოდ	
3. ლექსიკონი		5 x რაოდ	
4. სტატიები		5 x რაოდ	
5. თარგმანები		5 x რაოდ	
კონფერენციები			
1. ადგილობრივი კონფერენციაში მონაწილეობა მოხსენებით		3 x რაოდ	
2. საერთ. კონფერენციაში მონაწილეობა მოხსენებით		5 x რაოდ	
გრანტები			
1. ადგილობრივი		5 x რაოდ	
2. საზღვარგარეთ		10 x რაოდ	
რედაქტორობა			
1. სარედაქციო კოლეგიის წევრობა		4 x რაოდ	
2. რედაქტორობა		2 x რაოდ	
სხვა აქტივობები			
სახელმწიფო პრემია და სხვა		5	
ქულათა საერთო ჯამი			

აპლიკანტის გვარი, სახელი _____

კრიტერიუმები (ევროპული ენებისათვის)		ქულები	
უმაღლესი განათლების დიპლომი	(√)	რელევანტური	არარელევანტური
აკადემიური ხარისხი			
1. მეცნიერებათა დოქტორი		10	
2. დოქტორანტი		5	
პედაგოგიური გამოცდილება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში		(√)	
1. 3 წელი			
2. 3 წელზე მეტი			
1. ენობრივი კომპეტენციის ან/და მეთოდური გამოცდები			
1.1. C1/C2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი (შეფასება არანაკლებ B)		20/25	
1.2. Großes Deutsches Sprachdiplom		30	
1.3. CELTA/Fernstudienkurs/DLL		20	
1.4. TKT Band 3 – 5 ქულა (თითოეული მოდული)		15	
Band 4 – 6 ქულა (თითოეული მოდული)		18	
2. კვალიფიკაცია			
2.1. დამატებითი კვალიფიკაცია (საერთაშორისო ტრენინგობა, მულტიპლიკატორობა, საერთ. გამომცდელი)		5	
2.2. მულტიმედია (თითოეული საფეხური – 3 + 3 + 4)		10	
ტრენინგებში/სემინარებში მონაწილეობა			
3. მეთოდური/დარგონრივი ენის სემინარი/ტრენინგი			
3 სთ - 6 სთ-მდე		1 x რაოდ	
7 სთ - 15 სთ-მდე		3 x რაოდ	
16-დან - 21 სთ-მდე		6 x რაოდ	
22 სთ და მეტი		10 x რაოდ	
4. პუბლიკაციები			
1. მეთოდური/ლინგვისტური სტატიები			
- დაბეჭდილი საქართველოში		3 x რაოდ	
- დაბეჭდილი უცხოეთში		5 x რაოდ	
2. სახელმძღვანელო			
		10 x რაოდ	
3. ლექსიკონი			
		10 x რაოდ	
5. კონფერენციები (მეთოდოლოგია/ლინგვისტიკა)			
1. საქართველოში ჩატარებული კონფერენციაში მონაწილეობა მოხსენებით		3 x რაოდ	
2. უცხოეთში ჩატარებული კონფერენციაში მონაწილეობა მოხსენებით		5 x რაოდ	
6. სამეცნიერო გრანტები/პროექტები			
1. სამეცნიერო გრანტი		5 x რაოდ	
2. საერთ. პროექტი		5 x რაოდ	
7. სტაჟირება უცხოეთში (მეთოდოლოგია/ლინგვისტიკა/ლექციები)			
		10	
8. საუნივერსიტეტო აქტივობა			
1. სამაგისტრო/სადოქტორო - საგამოცდო ტესტების შემუშავება/შედგენა/გასწორება		4	
2. თარგმანები (უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით)		10	
		ქულათა საერთო ჯამი	

აპლიკანტის გვარი, სახელი _____

კრიტერიუმები (კლასიკური ენებისათვის)		ქულები	
უმაღლესი განათლების დიპლომი	(√)	რელევანტური	არარელევანტური
აკადემიური ხარისხი			
1. მეცნიერებათა დოქტორი		10	
2. დოქტორანტი		5	
პედაგოგიური გამოცდილება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში		(√)	
1. 3 წელი			
2. 5 წელზე მეტი			
სტაჟირება (სწავლება/ლინგვისტიკა)			
1. საქართველოში		5	
2. უცხოეთში		10	
პუბლიკაციები			
ადგილობრივი			
1. სახელმძღვანელო		10 x რაოდ	
2. მონოგრაფია		10 x რაოდ	
3. ლექსიკონი		10 x რაოდ	
4. სტატიები		5 x რაოდ	
5. თარგმანები		10 x რაოდ	
საზღვარგარეთ			
1. სახელმძღვანელო		10 x რაოდ	
2. მონოგრაფია		10 x რაოდ	
3. ლექსიკონი		10 x რაოდ	
4. სტატიები		5 x რაოდ	
5. თარგმანები		10 x რაოდ	
კონფერენციები			
1. ადგილობრივი კონფერენციაში მონაწილეობა მოხსენებით		3 x რაოდ	
2. საერთ. კონფერენციაში მონაწილეობა მოხსენებით		5 x რაოდ	
გრანტები			
1. ადგილობრივი		10 x რაოდ	
2. საზღვარგარეთ		15 x რაოდ	
რედაქტორობა			
1. სარედაქციო კოლეგიის წევრობა		3 x რაოდ	
2. რედაქტორობა		5 x რაოდ	
სხვა აქტივობები			
სახელმწიფო პრემია და სხვა		10	
სტუდენტთა სამეცნიერო წრის საქმიანობაში მონაწილეობა		10	
სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაში მონაწილეობა		10	
კლასიკური ენების კონკურსის „ვიქტორიას“ ორგანიზებაში მონაწილეობა		10	
ქულათა საერთო ჯამი			